მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 17 **1883—1894** **1—15 სექტემბერს.**

შინაარსი: მოვალეობანი კაცისა (გაგრძელება).—განმანათლებელი ნაყოფი მცხეთის წმ. ნინას დედათა სავანისა.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—სოფლის ცხოვრებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

მოვალეობანი კაცისა.

(ჩვენი ზოგიერთი ვაჟ-ბატონების საყურადღებოდ, რომელნიც სარწმუნოების საქმეში, დაუდევრობას იჩენენ).

რამოდენიმე რჩევა.

კატო-მოუგვარება და მოწყალება.

(გაგრძელება *)

კეთილშობილია ყოველი მისწრაფება კაცთა, რომელიც კი აკავშირებს მათ ურთიერთ შორის და აქველმოქმედებს, ცინიკოსი (ერთგვარი ფილოსოფოსი), რომელიც ყოველ მადალ გრძნობას უარ ჰყოფს, ვითომ და საფუძვლიანი საბუთების ძალით, სამშობლოს სიყვარულის წინააღმდეგ ჩვეულებრივ მიგვითითებს ხოლმე სიყვარულზედ ადამიანისადმი. «ჩემი სამშობლო მთელი ქვეყანა არისო,—გვეუბნება ის. იმ კუნჭულს დედა-მიწისას, სადაც მე დავიბადე, არა აქვს უფლება მომთხოვოს მე მეტი სიყვარული, რადგან ეს კუნჭული შეიძლება გაცილებით უარესია სხვა ქვეყნებზედ, სადაც კაცისათვის აგრეთვე კარგი ან კიდევ უკეთესი საცხოვრებელია, ვიდრე აქ. სამშობლოს სიყვარული—მხოლოდ საშინელი თავმოყვარეობაა—მეტი არაფერი; ეს თავმოყვარეობა საერთო თვისებაა იმ

*) იხ. «მწყემსი» № 15—16, 1894 წ.

ჯურის კაცთა, რომელთაც უნდათ თავიანთ სიძულილს დანაშთენ კაცობრიობისადმი რამე საფუძველი მოუშოვონ».

ჩემო მეგობარო, ნუ დაემონები ესეთ ულირს ფილოსოფიას; ამ ფილოსოფიას ის განზრახვა აქვს, რომ დაამდაბლოს კაცი, უარჰყოს ყოველი მისი სათნოება და ქველმოქმედება, ამიტომაც ის ყოველს მაღალსა და უზენაესს უწოდებს ოცნებას, სისულელეს და სიგიჟეს. ადვილია ენამჭევრად ლაპარაკი ყოველი კეთილი მისწრაფების წინააღმდეგ, ყოველი მოძრაობის წინააღმდეგ საზოგადო კეთილი საქმის სასარგებლოდ, მაგრამ ამისთანა მჭევრმეტყველობა ღირსია სრული ზიზღისა და განკიცხვისა.

ცინიკოსობა ადამიანს აგდებს ლაფში და მტვერში, ხოლო ჭეშმარიტს სიბრძნეს ამოჰყავს ის აქედამ. ესრეთი სიბრძნე ყოველთვის გამეოლია და სამშობლოსადმი სიყვარულს დიაღ კანონიერად ადიარებს.

რატომ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მთელი ქვეყანა—ჩვენი სამშობლოა; ყველა ხალხები ხომ ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან, რომელსაც თუმცა ნამეტანი სიყვარულის გამო არ შეუძლია ერთი საზოგადო მმართველი იყოლიოს, მაგრამ სამაგიეროდ ჰყავს ერთი უზენაესი მეუფე—ღმერთი.

როდესაც ჩვენ ყოველ ჩვენ მონათესავე და მზგავს ხალხებს ვუყურებთ, როგორც ერთი ოჯახის წევრთა, მაშინ მთელ კაცობრიობასაც საზოგადოდ უფრო სამართლიანი და კეთილ მოწყალე თვალით ვუცქერით. ასეა თუ ისე, კაცობრიობის ხალხებად დაყოფა მაინც არსებობს, ყოველი ერი არის კრებული კაცთა, რომელთაც ერთი-ერმანეთთან აკავშირებს სარწმუნოება, საზოგადო კანონები, ზნე-ჩვეულებანი, ენა, შთამომავლობა, ზოგადი დიდება, ტანჯვანი და იმედები. ერთისა და იგივე ერის წევრთა შორის ესრეთის კავშირისა და ზოგადი ინტერესების გრძნობას რომ თავმოყვარეობა უწოდოთ,—ეს ისეთივე საქციელი იქნება, რომ გულმოსულობით ბრაზმორეულობის დროს ვლანძღოთ და ვიცხოთ მშობლების სიყვარული და ვამტკიცოთ, რომ ის წარმოგვიდგენს ჩვენ მხოლოდ მამასა და შვილს შუა შეთქმულობას. დროა შევიგნოთ, რომ ყოველი ჭეშმარიტება შეგვიძლია გავიხილოთ სხვა და სხვა მხრით და არც ერთი საქველმოქმედო გრძნობა არ უნდა დარჩეს განუვითარებლად, თუმცა უკიდურესი განვითარება რომელიმე მათგანის შეიძლება მავნებელიც გახდეს. მთელი კაცობრიობისადმი სიყვარული უეჭველად მშვენიერი გრძნობაა, მაგრამ იმან არ უნდა გააძევოს ჩვენის გულისაგან სამშობლოსადმი სიყვარული; სამშობლოსადმი სიყვარული უეჭველად მშვენიერია, მაგრამ იგი დიაღაც არ უნდა სჭობდეს და აქარწყლებდეს მთელი კაცობრიობისადმი სიყვარულს.

ვაი მას, ვისაც გული არ მიიზიდავს ძმისადმი, არ უღვივის კაცთა ურთი-ერთ შორის პატივისცემა და არ ისწრაფვის კაცის შესაწევნელად. აი ორი ევროპიელი მოგზაური შეხვდენ ერთმანერთს დედა-მიწის უცხო კუნჭულში. ერთია ტურინიდამ, მეორე ლონდონიდამ. ერთიცა და მეორეც ევროპიელია—და ეს წოდება სრულიად საკმაოა, რომ მეგობრობა ჩამოვარდეს, მე კიდე მეტს ვიტყოდი,—დაიბადოს პატრიოტული ერთსულობა და მაშასადამე ის საქები გრძნობაც, რომელიც კაცთა აქეზებს ერთი მეორეს შემწეობა და დახმარება რო გაუწიონ.

რა არის სამშობლო? სამშობლო არის ის სახელმწიფო, სადაცა უწინ ჩვენი წინაპარნი და ეხლაც სცხოვრობენ ჩვენნი მოძმენი. სიყვარული სახელმწიფოსადმი ანუ სამშობლოსადმი და მასშინა დადგინებულთა ხელმწიფებათადმი შეაკავშირებს ყოველთა ერთად.

აი, მაგალითებრ, ისეთი კაცებიც, რომელთაც ერთმანერთის არა ეყურებათ რა, რადგან სხვა და სხვა ენაზედ ლაპარაკობენ; ძნელი დასაჯერებელია, რომ იმათ ერთმანეთში სიყვარული სახელმწიფოსი, როგორც სამშობლოსი აკავშირებდეს—მაგრამ ეს ნამდვილად ასეა; ის გახლავთ შვეიცარიელები: ერთი იტალიელია, მეორე ფრანგი, მესამე ნემეცი. საზოგადო პოლიტიკური კავშირი, რომელიც მათ იფარავს, უწევს მათ საერთო ენის ნაკლის მაგიერობას, აახლოებს მათ ერთმანეთთან, ჰბადავს მათში ურთი-ერთ შორის სიყვარულს და ამოქმედებს მათ სულგრძელობით თავგანწირულებამდე სამშობლოს საკეთილდღეოდ, თუმცა იგი ერთი ერისგან არ შესდგება. ჩვენ სხვას ვხედავთ იტალიაში და გერმანიაში: ამ სახელმწიფოებში—ერთშიცა და მეორეშიც—ერი გაჩნდა სხვა და სხვა თემებისაგან, სხვა და სხვა კანონების ფრთეთა ქვეშე; მაგრამ ისინი ყველა თუ არ ლაპარაკობენ, სწერენ მაინც ერთს ენაზედ, პატივს სცემენ საერთო წინაპართა და თავი

მოსწონთ საერთო მწერლობით; იმათ აქვსთ მსგავსი მიდრეკილებანი და საერთოდ ყველა გამსჭვალულია გრძნობით ერთი მეორის დახმარებისა, მეგობრობისა და პატივის ცემით; მათ შორის არსებობს თანაგრძნობითი, მეგობრული კავშირი.

სიყვარული ჩვენის სახელმწიფოსი, როგორც სამშობლოსი—გინდა დიდი იყოს ქვეყანა, გინდა პატარა—ყოველთვის ერთგვარად მადალია. არ მოიპოება ისეთი მცირე ქვეყანა, რომელსაც არ ქონდეს თავისი საკუთარი დიდება, არ ჰყავდეს თავადები, რომელთაც უმეტნაკლებოდ გააძლიერეს მისი უფლება, არ ახსოვდეს შესანიშნავი ისტორიული ამბები, სადაც არ იყოს კარგად მოწყობილი და აღშენებული ქალაქები, არ იყოს მის მკვიდრთა ხასიათში რაიმე პატივისცემის ღირსი, ან არ ჰყავდეს შესანიშნავი კაცები, რომელთაც თავი ისახელეს პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ანუ ხელოვნებაში. ნუ თუ ეს არ კმარა, რომ ყოველ კაცს უმეტესად უყვარდეს თავის სახელმწიფოსი კუნჭული, თავისი ქალაქი, ანუ თავისი სოფელი. მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა არაოდეს არ უნდა აღძრას ჩვენში ამაო ამპარტავნობა. ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ რომ, რადგან ჩვენ შვილნი ვართ რომელიმე განსაღზვრული ადგილისა და გვიყვარს ჩვენი სახელმწიფოსი კუნჭული,—ზიზღით ვუცქერდეთ სხვა ქალაქებს, დაბებს, და ხალხებს, მაშინ ესრეთი ვიწრო, შურიანი, მდაბალი სიყვარული სამშობლოსადმი არა თუ არ იქნება სიქველე და სათნოება, არამედ ჩასათვალია თითქმის უშვერ და ველურ გრძნობად.

ვინ არის გულწრფელი მამულის მოყვარე (патріотъ). შვიღური სიყვარული.

ჩვენ მხოლოდ მაშინ გვიყვარს ჩვენი სამშობლო ნამდვილ გულწრფელად, როცა ჩვენ თვითონ უზრდით მას ისეთ მოქალაქეთა, რომლებითაც სახელმწიფოს შეუძლია თავის მოწონება. ვინც უარსა ჰყოფს სარწმუნოებას და კეთილ ზნეობას, ის არ არის ნამდვილი მოსიყვარულე თავისი სამშობლოისა. როცა კაცი არაფრად აგდებს ეკლესიას, ქორწინების სიწმიდეს, ზდილობას და პატიოსნებას და ამავე დროს თავის თავს მამულის მოსიყვარულედ სთვლის, ნურაფერი გრწამს მისი: ეს არის საზიზღარი ფარისევლობა და ასეთი კაცი უსათუოდ ცუდი მოქალაქეა.

სამშობლოს ჭეშმარიტი მოსიყვარულე მეგობარი არის მხოლოდ ქველის მომქმედი კაცი, რომელსაც შეგნებული აქვს და სიყვარულობით ასრულებს ყოველივე თავის მოვალეობათა.

მამულის მოსიყვარულე კაცს სძულს ისეთი კაცი, რომელიც აუტუებს უმაღლეს მთავრობას, ან რომელიც ამ მთავრობის მოუსვენარი მტერია.

როცა კაცი სახელმწიფო სამსახურშია, სალდათია იგი, თუ მოხელე, მას მიზნად თავის საკუთარი სარგებლობა და გამდიდრება კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ პატიოსნება და კეთილდღეობა თავისი ხელმწიფისა და ხალხისა. ვსთქვათ, იგი კერძო პირია, მაშინაც კი მისი უგულითადესი სურვილი უნდა იყოს პატიოსნება და კეთილდღეობა მისი ხელმწიფისა და ხალხისა; იმან არ უნდა მოიქმედოს ისეთი რამ, რაც არ შეესაბამება ამ კეთილდღეობას, არამედ იგი უნდა მოქმედებდეს ისე, როგორც მოითხოვს მისი სახელმწიფოს კეთილდღეობა. მან იცის, რომ ყოველ საზოგადოებაში არსებობს სხვა და სხვა გვარი ბოროტ-მოქმედება, რომელთა აღმოფხვრას უნდა ცდილობდეს იგი, მაგრამ მას უნდა ეზიზღებოდეს ისინი, რომელთაც სურთ ყოველივე ამ ბოროტების მოსპობა ძალით და სისალის დაღვრით.

სისხლის ღვრა უსაშინელესია ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებაზე. გულწრფელი მოსიყვარულე მამულისა არას-დროს არ აღძრავს მოქალაქეთა შორის რაიმე უთანხმოებას, არამედ იგი ყოველთვის მოწადინებულია დააცხროს მათში ყოველივე უთანხმოება და თავის სიტყვით და მოქმედებით აფუძნებს თავის მოძმეთა შორის მშვიდობას, მაგრამ როცა სახელმწიფო საჭიროებს დაცვას, იგი კრავის მაგიერ ლომად ხდება.

მაშინ იგი ჩხუბობს და სძლევს მტერს და ან ჩხუბის ველზე ჰკვდება.

შენი მოქმედების ასპარეზი იწყება ოჯახშივე. მამის სახლი—პირველი სკოლაა შენი

ქველმოქმედებისა. რა უნდა ვიფიქროთ მათზე, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მათ უყვარსთ თავისი სამშობლო და თავი მოაქვსთ თავისი მამაცობით, მაგრამ ამავე დროს ივიწყებენ თავის უპირველეს მოვალეობას—შვილურ სიყვარულს?

არ შეიძლება მოთავსდეს სამშობლოს სიყვარული და მამაცობა იმ კაცის გულში, რომელსაც თავისი მშობლები არ უყვარს.

როგორც კი ბავშვი ცოტათი წამოიზდება, თვითონ ბუნება ჩასძახის მას: გიყვარდეს შენი მშობლებიო. შვილური სიყვარული თანშობილი აზრია და იგი იმდენად ძლიერია, რომ არც კია საჭირო, იზრუნოს კაცმა, რომ ბავშვში აღძრას ეს სიყვარული.

ნუ თუ ის კაცი, რომელსაც თავი მოაქვს იმით, რომ მას უყვარს ღმერთი, სამშობლო და კაცობრიობა, ვალდებული არ არის უდრმესი პატივისცემით ეპყრობოდეს იმ პირთ, რომელთა მეოხებით ღმერთმა შექმნა იგი კაცად და მოქალაქედ?

მამა და დედა ჩვენი პირველი მეგობარი არიან; რაც კი რამ გაგვაჩნია, სუყველაფერი მათი წყალობაა, ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ემადლობდეთ, პატივს ვსცემდეთ და გვიყვარდეს ჩვენი მშობლები.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც უფრო ხშირი მიმოსვლა გვაქვს ჩვენს ნაცნობებთან, იმდენად უფრო გაბედულად და მოურიდებლად ვეპყრობით მათ. ამიტომ საჭიროა ეცდილობდეთ, რომ, რაც შეიძლება, ზრდილობით და პატივისცემით მოვეპყრათ კაცს, რაც უნდა ახლობელი იყოს იგი ჩვენი.

ის კაცი, რომელიც თავის სახლს გარეშე სიყვარულობით ჯ მორიდებით ეექცევა ყველას, მაგრამ თავის საკუთარი მშობელი კი არ უყვარს, საზარელი არსებაა, ზრდილობას და თავაზიანობას კაცი უნდა გიეჩეიოს თავის საკუთარს ოჯახშივე.

ზოგი ჩვენგანნი ამბობენ, რა დიდი დამნაშაობაა, თუ ხან-დის-ხან ბავშვები მოურიდებლად და გაბედულად ეპყრობიან თავიანთ მშობლებს? განა მშობლებმა არ იციან, რომ შვილებს უყვარსთ ისინი; რა საჭიროა ეს გარეგანი ზრდილობიანობა. ამით ბავშებს თავისუფლებას უხშავთ. მაგრამ თუ გესურს, რომ ჩვენი შვილებისაგან შემდეგში შეწუხებული არ ვიქნეთ, დასაწყისშივე უნდა ვეცადოთ, რომ იგინი პატარაობიდგანვე ზრდილობით და პატივის ცემით გვეპყრობოდენ ჩვენ, მშობლებს.

ვისაც არ შეუძლია სახლშივე ისეთი საყვარელი იქმნეს ყველასათვის, როგორც სახლს გარეშე, ვისაც არ შეუძლია მიისწრაფოდეს ქველმოქმედებისადმი და პატივი სცეს კაცს, ისე როგორც თავის თავს, იგი სულ მოკლე და მოშიში კაცია.

ჩვენ ვალდებულნი ვართ შესაფერისი სიყვარულით და პატივისცემით ვეპყრობოდეთ ჩვენს მშობლებს; მეორეს მხრით ასე უნდა მოვიქცეთ, თუ გესურს, რომ ჩვენს ოჯახში სუფევდეს ყველა წევრთა შორის სიყვარული და კეთილწესიერება. რაც უნდა ულირსი მშობლები ჰყავდეს კაცს, ისინი მაინც მაღლა უნდა იდგნენ შვილის თვალში როგორც პირნი, რომელთაც მიანიჭეს მას ცხოვრება: შვილისათვის უზრდელობაა, როცა ის თავის დედ-მამას უზრდელად ეპყრობა. როცა მშობლები ღირსი არ არიან შვილების მიერ ჯეროვანის პატივის-ცემის, მაგრამ უკანასკნელნი მაინც ჯეროვანად ეპყრობიან თავიანთ მშობლებს, მაშინ ერთი სამად უფრო საქები და მოსაწონია შვილების საქციელი, რადგან ამ შემთხვევაში ისინი ასრულებენ ბუნების კანონს და თავიანთ საკუთარ ღირსებასაც შესაფერად ექცევიან.

ვაი მას, ვინც თავის მშობლებს მათი რაიმე ცუდი მოქმედებისათვის დაზრახავს! ვის უნდა მოვეპყრათ ჩვენ შებრალებით, თუ ასეთი არ ვიქნებით ჩვენი საკუთარი მამის და დედის შესა"ებ?

ქალმანათლებელი ნაუოფი მცხეთის წმ. ნინოს დედათა სავანისა.

(ამ სავანესთან დაარსებულ დედათა სასწავლებლის აღწერა *).

"ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა (მათ. V, 16 სტრ.).

მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტერს თავისი დედათა სასწავლებლის მეოხებით დიდი სამსახური მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მცხეთის დედათა სასწავლებელში დიდის ხნიდგან იღებენ განათლებას სხვა და სხვა წოდების ქალნი, რომელნიც, შემდეგ ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებისა, გადიან ხალხში, რომელშიაც შეაქვსთ განათლება. ამ დიდ მოვალეობას ასრულებს მცხეთის დედათა მონასტერი დღესაც და ამ სახით ყოველს კუთხეში და ყველა წოდებაში ჰფენს ნათელს და ავრცელებს ჭეშმარიტს და სასარგებლო ცოდნას.

ამ წმიდა სავანის კედლებ შ უ იზრდებოდა და მტკიცდებოდა მცხეთის დედათა ძველი სასწავლებელი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებლად; 1889 წ. კი ხელახლად გაიხსნა მცხეთის მონასტერთან დედათა სასწავლებელი; საჭიროა, რომ ამ სასწავლებელს ყურადღება მიაქციონ სასულიერო და საზოგადო განათლების მოყვარულთ საქართველოში; ამ სასწავლებელში სწორეთ სასურველად არის დაყენებული სწავლა-განათლების საქმე, მასში ერცლად ასწავლიან მრავალ საგნებს; მასწავლებელნი სწორედ კეთილსინდისიერად ეკიდებიან სწავლების საქმეს და ამის შედეგი ისაა, რომ მოწაფეები მშვენივრად სწავლობენ. რომ გაიგოს და შეიტყოს საზოგადოებამ მნიშვნელობა ამ სასწავლებლისა, რომლის არსებობა დღემდე ბევრმა არც კი იცის, ჩვენ განვიზრახეთ მცხეთის წმ. ნინოს მონასტერთან არსებული სასწავლებლის მოკლე აღწერა.

*) ამ სათაურით „საეკლესიო ფურცელში" დაბეჭდილია სტატია რუსულს ენაზე. რადგან ამ სტატიის შინაარსი საინტერესოა ქართველი საზოგადოებისათვის, ამიტომ მოგვაგვს ამ წერილიდამ ზოგიერთი ადგილები.

რედ.

I

ამა სასწავლებელში არის ოთხი ნორმალური კლასი და ერთი მოსამზადებელი, რომელშიაც სამი განყოფილებაა არის—უფროსი, საშუალო და დასაწყისი. ამ მიმდინარე 1893 წელში ამ სასწავლებელში სწავლობდა 47 ქალი; ასე მცირე რიცხვი მოსწავლე ქალთა ალბად მიზეზია იმის, რომ ამ სასწავლებელში ასე კარგად მიდის სწავლის საქმე, მაგრამ მეორე მხრით სწავლების საქმის ხეირიანად მსვლელობას ალბად ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მასწავლებელნი ქალნი ჯეროვანად არიან მომზადებულნი თავიანთ მოვალეობისათვის. სახელდობ ამ მიმდინარე სასწავლო წელიწადში ამ სასწავლებელში იყო ოთხი მასწავლებელი ქალი: 1) ქ. ელენე ჯორჯაძე, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია თბილისის დედათა გიმნაზიაში; ეს ქალი ასწავლიდა საღმთო სჯულს მესამე და მეორე კლასში, ოთხივე კლასებში ასწავლიდა გეოგრაფიას და სამოქალაქო ისტორიას მესამე და მეოთხე კლასებში. 2) ანნა კოლიეევისა,—რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელში, ასწავლიდა საღმთო სჯულს პირველს და მეორე კლასში, რუსულ ენას ყველა კლასებში, რუსულ სიტყვიერებას და ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მოკლე ისტორიას მეოთხე კლასში და რუსულ საეკლესიო გალობას სასწავლებლის ყველა კლასებში; 3) ანასტასია მიქელოვისა,—რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული თბილისის დედათა ინსტიტუტში,—ასწავლიდა არითმეტიკას სასწავლებლის ყველა კლასებში და 4) სოფიო ციციანოვი,—რომელსაც სწავლა მიუღია მცხეთის უწ ნდელს დედათა სასწავლებელში,—ასწავლის საღმრთო სჯულს მოსამზადებელ კლასში, ქართულ საეკლესიო გალობას ყველა კლასებში და თვალ-ყურს ადევნებს მოსწავლეთა ხელ-საქნარს.

სასწავლებლის მთავრობას მცხეთის დედათა სასწავლებელში შეადგენენ: უფროსი ქალი სასწავლებლისა, იგივეა წინამძღვარი მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტრისა, დედა იგუმენია ნანო და სასწავლებლის რჩევა, რომლის თავსმჯდომარედ არის სასწავლებლის უფროსი ქალი, ხოლო რჩევის წევრებად,—დეკანოზი მცხეთის სობოროსი მ. იოანნე მრეველოვი, მასწავლებელი ქალი ელენე ჯორჯაძე

ანნა კოლიეევისა, მონასტრის მღვდელი მ. დავით კარბელაშვილი და ხაზინადარი სინოდალნი კანტორისა ა. ა. არდაზიანი; უკანასკნელი თვალ-ყურს ადევნებს სამოსწავლო ნაწილს სასწავლებელში და ამავე დროს ასრულებს სასწავლებლის რჩევის საქმის მწარმოებლის მოვალეობას, იგი დანიშნულია ამ თანამდებობაზე მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, დღეს პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტის პალლადის მიერ, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა მცხეთის დედათა ახალი სასწავლებლის დაარსების საქმეში. რჩევის ყველა წევრნი, როგორც ეს საზოგადოდ მიღებულია, თავის მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებენ.

განსაკუთრებული ინსპექცია, ანუ კლასის აღმზრდელი ქალები არ არიან, ვინაიდგან სასწავლებელს საშუალება არა აქვს; მაგრამ ამ თანამდებობას დიდის ბეჯითობით ასრულებენ მონასტრის შენობაში მცხოვრები ყველა მასწავლებელნი ქალნი რიგრიგობით, სასწავლებლის უფროსი ქალის გამგეობით და ხელმძღვანელობით.

სასწავლებლის წიგნთ-საცავი, თუმცა დრო და დრო ივსება ბავშვების საკითხავი წიგნებით, მაგრამ მაინც ძლიერ ღარიბია, და ძლიერ დიდი სამადლობელი საქმე იქნებოდა როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთათვის, თუ რაიმე შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოება ამ სასწავლებელის წიგნთ-საცავს.

სასწავლებელთან არც საკუთარი საავათ-მყოფო არის, ვინაიდგან სასწავლებელს საშუალება არა აქვს, არ არის აგრეთვე არც მუდმივი ექიმი და არც ფერშალი. თუმცა, თითქმის, ყველა მოსწავლენი, გარეგანი შეხედულობით, და განსაკუთრებით ეგზამენების დროს, სუსტად ეჩვენება მნახველს, მაგრამ როგორც სასწავლებლის მეუფროსეთ წარმოადგენს, სასწავლებელში არასოდეს არავინ არ გამხდარა ავად რაიმე მძიმე და გადამდები სენით; უბრალო ავად-მყოფობის დროს იწვევენ ადგილობით ექიმს ან ფერშალს, რომელთაც ყოველთვის აძლევდენ სასყიდელს. ყოველ წლიურად, კერძ დამ მიმდინარე $189^3/_4$ სამოსწავლო წელში სასწავლებელს ჰქონებია შემდეგი შემოსავალი: 1) 300 მანეთი, რომელიც ყოველ წლობით ეძლევა სასწავლებელს «კავკასიაში მართლ-მადიდებელი აღსარების გამავრცელებელი საზოგადოებისაგან და ამდენსავე აძლევს სასწავლებელს ქართლის ეპარქიის საულიერო წოდების ღარიბ პირთათვის დაარსებული სამზრუნველო; 2) პანსიონერთაგან შემოტანილი ფული: 15 სრულ ხარჯზე მყოფ პანსიონერ ქალთ თითოეულს 120 მან. წელიწადში, 4 ნახევარ ხარჯზე მყოფ ქალს თითოს 80 მან.; კერძო ბინებიდგან მოსიარულე მოსწავლე ქალთ ხდებათ წელიწადში სწავლის უფლებისათვის ხუთმეტ ხუთმეტი მანეთი; მაგრამ პანსიონში ყველა მცხოვრებ ქალთა შორის ხუთი მოსწავლე ობოლი და ღარიბი სამღვდელოების შვილები არ იფერს იხდიან. 3) სასწავლებლის მოუოლოდნელ შემოსავალს შეადგენს კერძო შემოწირულებანი ფულით; ამ შეწირულებას ხშირად ჰკრებს თავის ნაცნობთა შორის სასწავლებლის უფროსი ქალი, დედა წინამძღვარი ნინა, რომელიც ამ სასწავლებლისათვის არ ზოგავს არც თავის საკუთარს საშუალებას და არც ტანი სიმრთელეს, და ამიტომაც 4) თუ სასწავლებლის წლიური ზოგიერთი ხარჯის დასაფარავად არავითარი საშუალება აღარ მოიპოვება, დედა წინამძღვარი ნინა თავის საკუთარი მცირე შემოსავლით ჰფარავს მომეტებულ ხარჯს, და ასეთი ხარჯი მოსდის მას ყოველ წლობით, ზოგჯერ რამოდენიმე ასი მანეთი შეაქვს მას თავის საკუთრებიდამ სასწავლებლის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.

სასწავლებელს, საშუალების უმექონელობისა გამო, არა ჰყავს საკუთარი ეკონომი. ამ თანამდებობას ასრულებს სასწავლებლის უფროსი ქალი, წინამძღვარი ნინა, რჩევის წევრთა დახმარებით. სასწავლებელში ეძლევათ უბრალო საზრდო, მაგრამ ყოველთვის ახალი და კარგი სანოვაგესაგან მომზადებული. მოსწავლეთა ტანთ-საცმელი ერთგვარი და უბრალოა, მაგრამ სრულებით შესაფერი. ყველა მოწაფე ქალებს აცვიათ ცის-ფერი საქონლის კაბები და თეთრი ტილოს გულსაფარები.

(შემდეგი იქნება).

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დედა-ენა, მისი მნიშვნელობა, ზომები დედა-ენის სასწავლოდ პირველ დაწყებით საერო და სასულიერო სკოლებში.

(წერილი მერვე *).

კითხვის უკანასკნელს და უმაღლესს ნაბიჯს შეადგენს ხელოვნებითი კითხვა, რომლის დროსაც მკითხველი ნათლად დაუხატავს და წარმოუდგენს მსმენელებს იმ აზრს და გრძნობას, რომელიც მიქცეულია წასაკითხ სტატიაში. რასაკვირველია ბავშს, რაკი ის სულიერად მცირედ განვითარებულია, არ შეუძლიან შესაფერისი სისრულით და ძალით გამოსთქვას იმისთანა გრძნობები, რომელიც მოზრდილ კაცს შეეხება; ამიტომ პირველ დაწყებითი სკოლის მოწაფეთაგან სრულიად საკმარისია, თუ ისინი კითხულობენ ისე, რომ თითქოს თავისუფლად ლაპარაკობდენ. პირველ დაწყებითი სკოლის მოწაფის კითხვის სასურველ დაფასებას წარმოადგენს ის გარემოება, თუ მოწაფის კითხვის დროს მსმენელი გამოცდის ისეთს შთაბეჭდილებას, რომ მკითხველი თითქოს კი არ კითხულობს, არამედ თავისუფლად და მკაფიოდ საუბრობს. რუსების ერთი საპატიო პედაგოგი შემდეგ ნაირად ახასიათებს ხელოვნებითი კითხვის მნიშვნელობას პირველ დაწყებით სკოლებში: «ყველა ჩვენგანს გამოუცდია, თუ როგორის სიამოვნებით ეუგდებთ ყურს იმისთანა მკითხველს, რომელიც კითხულობს ისე, თითქოს წიგნში არ იცქირებაო, მოგვითხრობს რასმე, ე. ი. კითხულობს ხელოვნურად; მაგრამ სოფლის და საზოგადოთ პირველ დაწყებით სკოლებში ხელოვნური კითხვის სწავლებას არა მარტო კმაყოფილებისათვის უნდა მიექცეს ყურადღება, არამედ განსაკუთრებით, მისთვის, რომ სკოლაში ნასწავლებს თავის კეთილ-ხმოვანი კითხვით შეეძლოს გაუნათლებელი ხალხისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა. სკოლამ უნდა აღზარდოს ისეთი წამკითხავები, რომელთაც სიამოვნებით უნდა უსმენდეს უბრალო წერა-კითხვის უმეცარი ხალხი, რომ თავის ხელოვნურ კითხვით მოიტაცონ მსმენელები, რომელთაც განეღვიძებათ სურვილი მკითხველისადმი ყურადღებისა! ჩვენში ყველა მასწავლებელი არ აქცევს შესაფერისს ყურადღებას ხელოვნებით კითხვას. ჩვენი ხალხი სოფლებში მოკლებულია ამისთანა წამკითხველებს, ამიტომ ხშირად ვინ იცის კვირა-უქმე დღეებში როგორ ატარებენ დროს ჩვენებური წერა-კითხვის უმეცარი და ხელოვნურ წამკითხველებს მოკლებული გლეხები. წიგნების კითხვა და წასაკითხის მოსმენა შეადგენს საუკეთესოს და ერთად ერთ სასარგებლო დროს გატარებას მუშა ხალხისათვის. ამ ნაირი ნაყოფიერი შედეგი სკოლისა კითხვის საქმეში აღამაღლებს სკოლას მდაბიო ხალხის თვალშიაც, რომელიც ისეთის ეჭვის თვალით ცქერას არ დაუწყებს სკოლებს, როგორც დღევანდელ სკოლებს უყურებს. ამიტომ ვიმეორებთ, რომ ფრიად საჭირო არის მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ყველა ზემოთ მოყვანილ თვისებებს, რომ სკოლას, რომლის შესანახავად მიიღებენ ხარჯში მონაწილეობას გლეხები, ჰქონდეს ამ უკანასკნელებზედაც შესაფერისი გავლენა.

გარდა კითხვის სწავლებისა დედა-ენის სწავლების დროს მასწავლებლის ყურადღება უნდა იქმნას მიქცეული აგრეთვე მოწაფეების ზეპირ-სიტყვა პასუხზედაც, ამისთვის მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს ყველა გაკვეთილებით, რომ ბავში მართლა მიეჩვიოს სწორს, მართალს და სინამდვილით ლაპარაკს. პირველად ზეპირ სიტყვიერების გასაძლიერებლად საუკეთესო საშულებად არის აღიარებული მოწაფეების სრული პასუხი, რომელშიდაც იმეორება თითქმის ყველა ნაწილი კითხვითი წინადადებისა. სხვა საშუალებათა შორის საყურადღებოა აგრეთვე ა) ცოცხალი ლაპარაკი, ბ) წაკითხულის ანუ გაგონილის შინაარსის წარმოთქმა. კითხვის გაკვეთილებიც წარმოადგენენ ერთს საუკეთესო საშუალებას, რომ ბავშს შეეძლოს თავის აზრის კანონიერად, მკაფიოდ და ლოგიკურად გამოხატვა ზეპირად ანუ დაწერით, ვინც კარგად ლაპარაკობს, ის კანონიერ წერასაც მალე ისწავლის. უმთავრესი მიზანი ბავშების სიტყვიერების შემუშავებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის მცირე სიტყვები და გამოთქმანი, რომლითაც ბავში შედის სასწავლებელში, შეავსონ, გაამდიდრონ ბავშის ლექსიკონი ახალი ცნობებით მოწაფის ცოდნის გა-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 14 1894 წ.

ფართოების დაგვარად. ბავშის პირველ ყოფილი ენა უნდა გაიხსნას, განვითარდეს, გაიწმინდოს ესრედ წოდებული პროვინციალიზმების და ბარბარიზმებისაგან, გაკეთილშობილდეს იმ სიტყვა-პასუხით, რომელიც შეადგენს ლიტერატურული სიტყვიერების კუთვნილებას და ამ ნაირად ბავშმა უნდა ისწავლოს არა მარტო გაგება ლიტერატურული ენისა, არამედ უნდა შეეძლოს მისი ხმარება და სარგებლობაც. დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ოჯახსაც ბავშის სიტყვიერების კანონიერ განვითარებაზე — ლაპარაკში ბავშები ჰბაძვენ მათ, ვინც გარშემო არტყიათ, თუ ბავშს მუდამ კანონიერი და წმიდა სიტყვა-პასუხი ესმის, — ისიც ეჩვევა წესიერად ლაპარაკს, პირიქით თუ ბავშებს ესმისთ უწესო და უხეირო ლაპარაკი — თვითანაც მიეჩვევიან ცუდათ ლაპარაკს, ამისათვის ფრიად საჭიროა, რომ, როგორც ოჯახში, ისე, რასაკვირველია, სკოლაშიაც ბავში მუდამ ხედავდეს უფროსებში კანონიერი სიტყვა-პასუხის მაგალითებს, აქედგან სჩანს, თუ რა მაუნებლობას სჩადიან ზოგიერთი მშობლები და სხვებიც, რომლებიც პატარა ბავშებს განგებ უქცევენ ლაპარაკს — როცა თავიდგან დაეჩვევა კაცი ურიგოდ ლაპარაკს — შემდეგში ძნელია გადაჩვევა; ბავშობის დროს შეძენილი ჩვეულებები ყოველთვის თავს იჩენს და ხშირად ცუდი ჩვეულებები ხელს უშლის ბავშებს გონება განვითარების საქმეში. ზეპირი სიტყვიერების გასაძლიერებლად ერთი უკეთესი საშუალება არის აგრეთვე დაკვირვებითი სწავლა, რომლისათვისაც, იმ მოსაზრებათა ძალით, რომ ყველა საგნები თვალსაჩინოდ უნდა ისწავლებოდეს პირველ დაწყებითი სკოლებშო, ცალკე გაკეთილები არ არსებობენ, მხოლოდ ხანდისხან მასწავლებელი რომელიმე წასაკითხის ადგილის, განმარტების დროს, გამართავს მოწაფეებთან საუბარს წაკითხულ საგანზე. ბავშის გარშემორტყმული ბუნება, ბუნებითი და ხელოვნებითი საგნები, მოვლენანი წარმოადგენენ ურიცხვ მასალას ბავშების ცნებების და წარმოდგენილებათა გასამდიდრებლად, მხოლოდ საჭიროა ამ საქმეში გონიერი დახმარება და ეს დახმარება იმაში მდგომარეობს, რომ დედა, მამა ანუ სხვა პირი, რომელიც ზრდის ბავშს, უნდა ცდილობდეს მისი ყურადღება მიაქციოს რომელიმე საგანზე, მის თვისებასა და მოქმედებაზე. როცა ბავში გაიცნობს საგნებს და მოვლენებს, ის შეადგენს წარმოდგენილებას და ცნებებს მათზე და თავის დაკვირვების სიტყვიერად გამოთქმის დროს, ბავში ავარჯიშებს თავის ზეპირ სიტყვიერებასაც. მისთვის რომ ბავშს ყურადღება მიაქციოს საგნებს და მის თვისებებს და გამოხატოს თვითონვე თავის შენიშვნები სიტყვებით, საჭირო არ არის მიწოდება გონიერის კითხვების ხსენებული საგნის და მის თვისებათა შესახებ. ბავშ ზეპირ მეტყველებაში ვარჯიშდება, აგრეთვე წაკითხულის ანუ გაგონილის სტატიის შინაარსის მოთხრობით, მშობლიური სამაგალითო ლექსები ზეპირად დასწავლით და ხელოვნურად წაკითხვით, რომელიც აგრეთვე ღრმად განმანათლებლად და აღმზრდელად მოჰქმედებს ბავშის სულზე, უღვიძებს მას ოცნებას, ესტეტიკურს და ზნეობრივ გრძნობებს.

ბავშების წერაში გასამართავად არსებობენ შემდეგნი ვარჯიშობანი: ა) პირდაპირ წიგნიდგან გადაწერა, ბ) კარნახი, გ) დასწავლილი სტატიების ზეპირად დაწერა, დ) პატარ-პატარ თხზულებების შეთხზვა მიცემულ პროგრამაზედ, ე) უბრალო საგნების აწერილობა, ადვილი მოთხრობები და საქმის ქალალდების შედგენა იმ საგნის შესახებ, რომელიც არ გამოდის ბავშის ცნობების წრიდგან.

წიგნიდგან გადაწერა არის ყველაზედ უფრო ელემენტარული ხერხი ბავშების წერაში სავარჯიშოდ, მაგრამ რომ ეს სამუშაო მეხანიკურ ვარჯიშობად არ გადაიქცეს, საჭიროა მასწავლებელმა ისეთად მიმართოს პირ-და-პირ გადაწერინებას.

კარანახი შეადგენს ისეთს სავარჯიშოს, როდესაც ბავში სხვის სიტყვებიდგან ეჩვევა წერას, ვარჯიშდება მართლ წერისთვის საჭირო გრამატიკულ და ორთოგრაფიულ ფორმებში.

ზეპირად დასწავლული სტატიების და მოთხრობების წერა აჩვევს ბავშებს აზრის ლოგიკურად დალაგებას, პრაქტიულად იძენს ბავში ჩვეულებას, რომ კანონიერად შეუთანახმოს ერთმანეთს წინადადებების ნაწილები და თავიანთ ადგილას დასთან წერის ნიშნები.

კლასში ახსნილი სტატიების შინაარსის შემოკლებულად თქმა შველის გაუღვიძოს და განუვითაროს ბავშებს მოსაზრება იმის შესახებ, თუ რომელი საგანი უფრო საჭიროა და აუცილებელი სტატიაში და რომლის გამოტოვება შესაძლებელია აზრის დაურღვეველად. შეიძლება სტატიის შემოკლებული შინაარსის დაწერაც. ეს ვარჯიშობანი მით უფრო ბევრს მასალას იძლევიან წერითი სიტყვიერების შესამუშავებლად

რამდენადაც სტატიის შინაარსის გამოთქმაში შეხვდებათ უფრო სხვა და სხვაფერობა.

დასასრულ პატარ-პატარა თხზულებებიც ითხოვენ მოწაფეთაგან თვით მოქმედებას. თხზულების შესამუშავებლად მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს მხოლოდ დარიგებას, რჩევას თხზულების დახლოებით მიმართულობას; საზოგადო მოცულობას, უმთავრესს აზრს და ლოგიკურ კავშირს წინადადებისას; მოწაფემ კი თანახმად თხზულების დანიშნულებისა თვითონ უნდა შეთხზას ფორმა მიცემული მასალის შესამუშავებლად. რასაკვირველია ყოველთვის საავარჯიშო საგანი უსათუოდ უნდა ეთანახმებოდეს მოწაფის გონებითი განვითარების ხარისხს და სასწავლო მეცადინობის საზოგადო მსვლელობას. ამასთანავე ყველა მოწაფეების ნაწერები ყურადღებით უნდა გადაათვალიეროს მასწავლებელმა, აღნიშნოს ხაზის გასმით, სადაც შეცდომებია და რეულების დაბრუნების დროს მოწაფეებს უნდა გაასწორებინოს. უამისოდ მოწაფეები შემდეგშიაც არ ისარგებლებენ შეცდომების გასწორებით. მასწავლებელმა მოწაფის მიერ დაშვებული შეცდომა თვითონ აღარ უნდა გაასწოროს, თვითონ უნდა უჩვენოს მოწაფეს, სად არის შეცდომა და თუ რომელ ადგილას რა შეცდომა არის, ამის გამოცნობა და შეცდომების გასწორებულად რეულში ამოწერა მოწაფეებს უნდა ჰქონდეს დავალებული.

ენის შესწავლა შეიძლება თეორიულად და პრაქტიკულად, პრაქტიკულად ბავშები სწავლობენ ენას ლაპარაკის და ცხოველ საუბრის დროს ანუ წერა-კითხვის სწავლების დროს; თეორიულ ცნობებს ენის შესახებ შეიძენენ გრამმატიკის გაკვეთილებზე. პირველ დაწყებით სკოლებში საგრამატიკო ვარჯიშობანი შეადგენენ კანონიერ მოთხოვნილებას სამშობლო ენის შესასწავლად. თუ გრამატიკიდან ცნობები ბავშებისათვის ძალისებრივი და ადვილად გასაგები იქნება,—შეიძლება გრამმატიკიდგანაც შეუძლიან მასწავლებელს ამოიღოს ისეთი საავარჯიშოები, რომლითაც შეუძლიან გამოიწვიოს ბავშის აზრის მოქმედება. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ დაწყებითი სკოლებისათვის პროგრამმით დანიშნული საგრამმატიკო ცნობები უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკულად, შემოკლებით, უნდა ისაზღვრებოდეს მხოლოდ სინტაქსიური და ეტიმოლოგიური მასალის უსაჭიროესად შემუშავებით. წიგნში გრამმატიკის სწავლება აენებს მხოლოდ საქმეს, რადგანაც ამ დროს გრამატიკის სწავლება მიიღებს დოლმატიურს ხასიათს, რაც უადგილო არის ელემენტარულად სწავლების დროს. ენის რიგიანად შესწავლისთვის საკმარისი არ არის მარტო ან თეორეტიკულად ან უპრაქტიკულად შესწავლა ენისა, საჭიროც ერთიც და მეორეც. თეორეტიკულად შესწავლა ენისა ანუ გრამმატიკა ამოკლებს დროსა და შრომას ენის შესასწავლად, ადგენს საზოგადო კანონს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ხულ ყველა და არა რომელიმე პირი მარტო; პრაქტიკულად ცოდნა ენისა კი აძლევს სიცოცხლეს და მნიშვნელობას გრამმატიკულ კანონებს, რომლებიც მკვიდრად ჩაიბეჭდებიან ბავშის მეხსიერებაში და მოქმედებს მასზე განმავითარებლად. უმახლობელესი დანიშნულება და მიზანი გრამმატიკისა, როგორც სასწავლო საგნის, იმაში მდგომარეობს, რომ განუვითაროს, გაუხსნას ბავშს კანონიერი ზეპირი და მწერლობითი სიტყვა-პასუხი. წესებს და კანონებს სამშობლო ენისას ბავში გაიგებს, როგორც კანონიერ ზეპირ სიტყვა-პასუხიდგან, აგრეთვე ჩვენი სამაგალითო მწერლების საუკეთესო ნაწარმოებისადმი დაკვირვებიდგან. გრამმატიკაში მოწაფეების საავარჯიშოდ მასწავლებელმა უნდა აიღოს სხვა და სხვა გრამმატიკული გამოცანები თვითონ სასწავლო მასალისაგან, რომელიც უკვე შემუშავებულია და შესწავლილი აქვთ ბავშებს მხოლოდ არა გრამატიკის მხრით. ყველა გრამმატიკული საავარჯიშოები პედაგოგიურის თანდათანობის მიხედვით უნდა იყოს მოქცეული პირველ დაწყებით სამშობლო ენის სასწავლო წიგნში. ამ ნაირად რიგიანად შესწავლა სამშობლო ენისა ბევრად დამოკიდებულია, როგორც მასწავლებელზე და მის მიერ საქმის ცოდნაზე, აგრეთვე პირველ დაწყებითი სასწავლო, სახელმძღვანელო პედაგოგიურად შემუშავებულ სამშობლო ენის შესასწავლ წიგნზედაც.

პირველ დაწყებითი სასწავლო წიგნს სამშობლო ენის შესასწავლად აქვს ფრიად დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა—ის არის საფუძველი მთელის პირველ დაწყებითი, ელემენტარული სწავლა-განათლებისა; ამ წიგნიდგან უნდა შეიძინოს ბავშმა ბრწყინვალე აზრები და საღი შთაბეჭდილებანი, ამიტომ პირველ საკითხავ წიგნში უსათუოდ უნდა იყოს საკმაო რიცხვი, როგორც პროზაიკული, ისე პოეტური სტატიებისა, თავის გარეგან ფორმით პირველ საკითხავი

წიგნი ბავშებისათვის უნდა წარმოადგენდეს წმინდას და სამაგალითო ენას; ამ გვარ წიგნებს გარდა საზოგადო განათლებისა უნდა ჰქონდეს ბავშებზე ღრმა აღმზრდელობითი გავლენაც; ამიტომ ენის შესასწავლად სახელმძღვანელო წიგნში უნდა იყოს მოქცეული ისეთი სტატიებიც, რომლის კითხვის დროს ბავშის სულში აღიზარდოს წრფელი რელიგიოზური და ზნეობრივი მიმართულება, წმინდა, შეგნებული და უანგარო სიყვარული სახელმწიფოსი, რომელსაც ეკუთვნის სამშობლო ქვეყანა და ყველა მშობლიურისა. რადგანაც სახალხოენა შეადგენს ცხოველსდა საზოგადო საფუძველს მთელის პირველ დაწყებითი სწავლებისას, ამიტომ პირველ დაწყებით საკითხავ წიგნებში უსათუოდ უნდა იყოს მოქცეული საკმაო რიცხვი სახალხო ლიტერატურულ ნაწარმოებისა—როგორიცაა: ლექსები, არაკები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები, ხომ ხალხის შემოქმედებითი ნაწარმოებითაც ისარგებლოს მასწავლებელმა სამშობლო ენის სწავლების დროს.

მართალია, ძალიან ძნელი არის ისეთი სახელმძღვანელოს პედაგოგიურად შედგენა, რომელიც აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნილებას პირველ დაწყებით სკოლისას; რუსის პედაგოგი უშინსკიც ამას ამბობს; ანბანის შემდეგ პირველ დაწყებითი საკითხავი წიგნის შედგენა ყველაზე უფრო ძნელი ამოცანაა მთელს დიდაქტიკაშიო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ მცირე რიცხვს სახელმძღვანელოებისას, რომელიც არსებობს ჩვენს ლარიბს პედაგოგიურს ლიტერატურაში, არ შეგვიძლიან ჯერ-ჯერობით პირველი ადგილი არ დაუთმოთ ჩვენის პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის «დედა-ენას», რომელსაც ბევრი ნაკლულევანება აქვს თავიდან აცდენილი და რომელიც ჯერ საუკეთესო წიგნს შეადგენს ჩვენს სკოლებში, მაგრამ კარგი წიგნიც კარგს ხმარებას ითხოვს, თუ მასწავლებელს არ გაეკება, როგორ წაიყვანოს სწავლების საქმე, ყოველის მხრით პედაგოგიურად შემკული წიგნიც ვერაფერს უშველის; ამიტომ მეტი არ იქნებოდა, რომ ჩვენ პატივცემულ პედაგოგს «დედა-ენისათვის მეთოდიური სახელმძღვანელოც შეედგინა; მართალია, დღეს სპეციალურად მოამზადებული მასწავლებლები მცირედ ისარგებლებენ ქართული მეთოდიური სახელმძღვანელოთი, რადგანაც რუსულიდგანაც შეუძლიათ გაიგონ რამე, თუ კი მოისურვებენ, მაგრამ დღეს არც ოჯახებში და არც ბევრგან წერაკითხვის სკოლებში, სადაც «დედა-ენას» ხმარობენ, იმდენად არ იციან რუსული ენა, რომ ყველა წაკითხულის გაგება შეეძლოთ; ამას გარდა «მეთოდიურ სახელმძღვანელოში» ავტორს შეუძლია მოაქცინოს იმისთანა საკარჯიშოები, რომელთა «დედა-ენაში» ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად ერცელი სასაუბროები, რომელიც განუმარტებლად აბნევს ბევრს მცირედ მომზადებულ მასწავლებლებს. მე მარტო ერთი არ მინახავს ესეთი მასწავლებელი და სკოლა, სადაც «დედა-ენაში» მოთავსებულს სასაუბროებსაც ისე აკითხებენ ბავშებს, როგორც რომელიმე სტატიას იმავე წიგნიდგან.

ლ. ბოცვაძე.

სოფლის ცხოვრებიდამ.

I.

ვინც სოფელში სცხოვრობს და თვალ-ყურს ადევნებს სოფლის ცხოვრებას, ის ბევრს ისეთ რამეებს შენიშნავს, რომელიც საზოგადო კეთილდღეობის გულშემატკივარ ადამიანს ბევრ მწარე ფიქრს დააცლევინებს, ბევრ შავს და მწარე ფიქრებს აღუძრავს და აუღელვებს გულში. გულს გიკლავს კაცს ის უთანხმობა, ის განმარტოებული ლტოლვილება და ის სიძულვილი, რომელიც ჩამოვარდნილა ოჯახობაში: ცოლ-ქმართა, მშობელთა, შვილთა და ძმათა შორის. სულს გიწუხებს ის მტრობა, შუღლი, ერთი ერთმანეთის გაუტანლობა, რომელსაც ხედავთ მეზობლებში და ერთი საზოგადოების წევრთა შორის. გული გიკვდება კაცს, როცა გესმის, რომ ა'ი-ორასი ვერსის მანძილიდგან მოსდით მუშტარი მკითხავებს, ქადაგთ. მექრთამეობას, ბეზღობას, უსამართლობას ხომ საზღვარი აღარ აქვს... მიზეზი ამ მოვლენათა ბევრნაირია. მაგრამ ზოგნი ამ საძწუხარო მოვლენათა უმთავრეს მიზეზად ასახელებენ ნიკოიერ სიღარიბეს: უმძიმთ ხელმოკლე სოფლელებს აუტანელი ცხოვრების ტვირთი, ვერ უძლებენ და ვერ აკმაყოფილებენ ცხოვრების ათასნაირ მოთხოვნილებათა,

და აი ეს გასაკვირი იწვევს და ადენინებს იმ სისაძაგლეს, რომელსაც ხედავთ მათ ცხოვრებაშიო. ზოგნი ასახელებენ ზნეობრივსა და გონებრივ სასუსტეს სოფლელებისას. მართალიც არის, რომ სოფლელებს მტკიცე და საღი ზნეობა ჰქონდეთ, გონებითაც ცოტად გაგებულნი იყვნენ, მაშინ ასეთ ცუდ მოვლენათა ხსენებაც კი არ იქნებოდა ხალხში. დიაღ, გონებრივი და ზნეობრივი წარმატება ხალხისა მოსპობს მათში ყოველ ცუდ მოვლენათა. სანატრელია, რომ უფრო მტკიცედ, ვინემ ახლაა—დამყარდეს, გავრცელდეს ხალხში ადამიანის ველური ხასიათის მომარბილებელი ქრისტიანობრივი მოძღვრება—სწავლა; საგრძნობელად შეეხოს და გადაჰქნას არსებითად ქრისტიანობრივმა სიყვარულმა, სათნოებამ, გულმოწყალეობამ, სიმართლემ ადამიანის სული და გული და დაისადგუროს მათში. განა ნივთიერი შეძლება არ აქვთ იმ მომაღლოდ მსდხომ ვაჟ-ბატონებს, რომლებიც უღვთოთ იღებენ ქრთამს? განა ვერც ესენი აკმაყოფილებენ უმთავრეს მოთხოვნილებათა უამისოდ? განა ცოტანი არიან შეძლებულნი, რომლებიც გაჭიჭკნილი არიან მტრობით, შურით? ამაზედ ასეთ დაუფიქრებელ პასუხს იძლევიან: დიაღ, შეძლებულნი არიან და სისაძაგლესაც სჩადიან, მაგრამ განა იმათაც არ აკლიათ ზნეობრივი და გონებრივი ცოდნაო? დიაღ! აკლიათ! საქმე ის კი არ არის, რომ ორიოდე ზნეობრივსა და გონებრივ სწავლებას ყური მოჰკრან, გაიგონონ. არა ზნეობრივი და გონებრივი სწავლა უნდა ეხებოდეს სულს და გულს, უნდა შეუსისხლხორცდეს ადამიანს, უნდა დაისადგუროს მის ბუნებაში, და აი მაშინ ექნება სწავლას მასზე ზედგავლენა...

მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ სოფლელთ გაგონილიც არ აქვსთ, თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი ზნეობა, იმათ არ მოუსმენიათ, არ უსწავლიათ საღმრთო ისტორია, არ მოუსმენიათ ახსნა, განმარტება საეკლესიო წიგნებისა. იმათ იციან, რომ ქრისტიანები ჰქვიათ, მაგრამ რატომ, რაში მდგომარეობს, რა არის შინაარსი, მოთხოვნილება ქრისტეს სჯულისა, ეს კი არ ესმით. დადიან ეკკლესიაში, ისმენენ წირვას, საეკლესიო წიგნების კითხვას, მაგრამ მათი მნიშვნელობა ნაკლებად ესმით. უსრულდებათ მათ საეკლესიო წესები, მაგრამ რა ძალა აქვს ამ წესებს, რა მარგებელნი არიან, ეს კი არ იციან რიგიანად. საღვთისმეტყველო ლიტერატურა, მართალია, უმაღლეს წერტილამდეა ასული, მაგრამ უბრალო ხალხს კი ვერ უსარგებლებია მით. ახლა, თუ იმასაც გაიგებთ, რა სუსტად არის მათში გავრცელებული საერო წერა-კითხვაც—უმეტესობამ ხელის მოწერაც არ იცის, ზოგმა იცის ხელის მოწერა და ამით თავდება საერო ლიტერატურა მათში—მაშინ დარწმუნდებით, თუ რა ზნეობრივსა და გონებრივ სიბნელეში იმყოფება ხალხი სოფლებში. რა არის მიზეზი, რომ ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ხალხს ჯერ კიდევ რიგიანად ვერ შეუგნია, თუ რაში მდგომარეობს ქრისტიანობა? რა არის მიზეზი, რომ ამ ჭეშმარიტებას, ღვთაებრივ სწავლებას ვერ გაუტანებია ხალხის გონებაში? ზოგნი, და უფრო გარეშენი, ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივ გულგრილობას აწერენ ამას; მათის აზრით, ვითომ, ამის გამო, ჩვენი ხალხი გულგრილად ეკიდება, სარწმუნოებრივ კითხვებს, და არ აქვს მხურვალე ლტოლვილება ეკკლესიური საქმეებისადმი. მაგრამ ეს იმათი აზრია, ვინც შორიდან უყურებს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ვინც გვერდზე უცქერის მას, და არა იმათი, ვინც დაახლოებით გასცნობია ჩვენს ხალხს.. არა, მიზეზი ამისა არის უდიერობა, უზრუნველობა იმათი ვინც მოვალეა ხალხს აუხსნას, ასწავლოს, გააგებინოს, ჩაუნერგოს სულსა და გულში, თუ რა არის ქრისტეს სჯული, მოძღვრება, მცნება და მოთხოვნილება მისი მორწმუნეთაგან. მიზეზია ამის უსაქმობა, ორგულობა იმათი, ვისაც აქვს დაახლოებული მსვლელობა ხალხთან...

ვინ არის ასეთი პირი? «თქვენ ხართ ნათელი, თქვენ ხართ მარილი სოფლისო» უთხრა თვით მაცხოვარმა თავის მოწაფეებს და მათით ყველა მათ მემკვიდრეთ. დიაღ, დიდი, მარგებელი იქნება ამ ბნელ სოფლელებისათვის ჭეშმარიტი მწყემსი; მხოლოდ ჭეშმარიტი. როგორც თვისება, ისე მოვალეობა მწყემსისა ნათლად და დაწერილებით არიან ნაჩვენები საეკლესიო წიგნებსა და სხვა და სხვა სახელმძღვანელოებში. მაგრამ სამწუხაროდ არ არის დაცული სრულებით და ჯეროვანად... ჩვენს კუთხეში, მე ვამბობ გურია-სამეგრელოს ეპარქიის შესახებ—ცოტანი გვყავს ნასწავლნი, კურს დამთავრებულნი მღვდლები; რაღაც ორიოდეა, ისინიც ქალაქებში არიან, სოფლებში კი ძალიან იშვიათად შეხვდებით მათ. ჩვენი მღვდლები სულ შინაურულად აღზრდილნი არიან. და ეს შინაურული აღზრდა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ზეპირად აქვთ დასწავლილი ის, რაც კურთხევანის და კონდაკ-ჟამნის ჩვენებით უნდა აასრულონ. სწორედ ნაღვლიანად წარმოსთქვა ერთმა ბლაღოჩინმა ჩემთან, რომ ჩემ საბლაღოჩინოში ბევრნი ისეთი მღვდლები არიან, რომ მათლად ხელს ვერ მოაწერენო. მწყემსიც იმას გადასცემს სამწყსოს, რის შეძლებაც აქვს, რითაც გამსჭვალულია! როგორ უნდა აუხსნას, განუმარტოს, გააგებინოს ის ღრმა ჰაზრი ქრისტიანობისა ხალხს, თუ მასაც კარგად არ აქვს შეგნებული. როგორ უნდა ებრძოლოს, ეწინააღმდეგოს გონებრივსა და ზნეობრივ სისუსტეს მწყემსი, თუ ამისთვის ძალა არ შეესწევს, ისიც ბორძიკობს? საიდგან უნდა

გამოიჩინოს ის უძლეველი ენერგია, მოთმინება, შრომის მოყვარეობა, ერთგულება მრეველისადმი და სხვა მრავალი ასეთები, თუ მასში არ აღზრდილა ჯეროვანად ესეები?... სიმწუხარის ღიმილი მოგადგებოდათ, როცა ერთ მწყემსთაგანმა მითხრა, მართალია მე ისე ვერ ვილაპარაკებ (ვქადაგებ), როგორც იმ ნასწავლმა ილაპარაკა (იქადაგა) რაღაცეები, მაგრამ რით ვარ იმაზე «ნაკლები», წირვით მეც კი ვსწირავ და ისიცო და სხვა რა უნდაო! არა ნაკლებ დანაღვლიანდებოდით, როცა ერთ მწყემსთაგანმა დაიწყო მტკიცება, რომ კანონიერია ისაღთქმა სოფლის მიერ, რომლის ძალით წელიწადში თითო უნდა აწირონ «ცხვრით, ტახით, ხარის თავ-ფეხითო». მართალია, 6 კურს დამთავრებულნიც არიან ისეთი, რომლებიც არაფერს დაეძებენ და ვერ გასცილებიან ვერაფრით უსწავლელობა, მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც. სწავლაც საფუძვლიანი, სარგებლიანი უნდა; ის უნდა ეხებოდეს სულსა და გულს, მას უნდა ეახლოს ზნეობრივი აღზრდა.. მაგრამ მაინც ესენი სჯობიან უსწავლელობ. სხვა არა იყვეს რა, თავმოყვარეობა არ მისცემს ნებას, რომ მუდამ უსაქმოდ იყვნენ, არც ერთხელ, ცოტად მაინც არ შეეხონ ხალხის ცრუმორწმუნეობას, და თვალი მაინც არ გადააღლონ ჟურნალ-გაზეთებს.

არა, რაც უნდა იყოს, ისინი მაინც ახალი დროის არიან, მაინც უფრო მისცემენ ხმას ჭეშმარიტ მოღვაწეთ და უფრო მოუწყობენ ხელს... ესეც უნდა ესთქვათ, რომ განა ყველანი უსაქმურნი და გამოუდეგარნი არიან ესენი? არა! არიან მათში ღირსეულნი მუშაკნიც, ხოლო თუ თავი ვერ უჩენიათ, იმიტომ, რომ დამაბრკოლებელნი გარემოებით არიან გარემოცულნი... ერთის სიტყვით დიდი საჭირონი არიან სწავლულნი მწყემსნი ჩვენში და მეტად სასურველია, რომ ახალი თაობა მწყემსთა წინანდებურად უსწავლელნი არ იყვნენ.

მღვ. დ. ჩხაიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

9 სექტემბრიდამ დაიწყეს ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შემსვლელ უმაწვილების გამოცდა. სემინარიის ინსპექტორს მ. დმიტრის უმაწვილების გამოცდის დროს ეხმარებოდენ თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელნი ბბ. ი. მ. გორტინსკი, რუმიანცევი და თ. ორდანია. სემინარიის პირველ კლასში ეგზამენს იჭერდა 61 მოწაფე. არ დაშვეს ეგზამენზე, თანახმად უწმ. სინოდის უქაზისა, 7 მოწაფე, რადგან მათი წლოვანება აღემატა 18 წელს. 15 სექტემბერს გათავდა მოწაფეთა გამოცდა. მიიღეს სემინარიის პირველ კლასში 39 უმაწვილი. ამათში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ არის 29, სამეგრელოდან 5 და გურიიდამ 5. სემინარიაში სწავლა, 22 ამ თვიდამ დაიწყება.

***

უკრიალის საკლესიო ნიკოების საწყობში ერთი კვირის შემდეგ იქმნება ოთხელ გვარი საკლესიო ნიკოები. ფასები წინდელზე ნაკლები იქნება.

მრავალს საკლესიო ნიკოებს შორის ამჟამ საწყობში იმყოფებიან ათი ფასიანი ჯვრები ერთი კაპეიკიდამ სამ კაპეიკამდე არა ვერცხლისა და წმინდა ვერცხლისა 5—15 კაპეიკამდე. საჭიროა, რომ ამისთანა ჯვრები ეკლესიების კრებულმა იქონიონ ტაძრებში, რომ საჭიროების დროს იქნა იყიდოს კაცმა. სოფელში კიდევ რომ სურდეს მიმქმელს ჯვარის ყიდვა ახლად განთლულისთვის, სადამ იშოვის? და ან ვინ იქნება ისეთი, რომ თავის ნათლულისთვის ხუთ კაპეიკიანი ჯვარი დაიშურაოს? მსუყეთ შეუძლიათ დაიბარონ ამისთანა ჯვრები, რამდენიც სურთ.

***

წელს ძლიერ ბევრი იყო მსურველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შესვლისა, მაგრამ უმეტესობას ეკარი გამოეცხადა ადგილობისა გამო. დასაწყისი მოსამზადებელი კლასების ორივე განყოფილებაში მიღებულ იქმნა 79 უმაწვილი. მეორე მოსამზადებელ კლასში იყო თავისუფალი მხოლო 11 ადგილი. ზედ მოსამზადებელ და პირველ კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ ეყოფილ, მსურველები კი ამ კლასებში შესვლისა ბევრი იყო. სასწავლებლის II, III და IV კლასებში იყო რამოდენიმე თავისუფალი ადგილი და მსურველნი კიდევ მიიღეს, რომელთაც ეგზამენი რიგიანად დაიჭირეს.

***

წელს ქუთაისის ეპარქიალურ გაბრიელის დედათ სასწავლებლის ზედ მოსამზადებელ კლასში მიღებულ იქმნა 53 ქალი. ამათში სამღვდელოების არის 39 და 12 საერო პირთა.

***

ერთ რუსს აზნაურს კ. ფ. კასიდეევს 96,000 მანეთი და რამოდენიმე ძვირფასი სახლები უნდერძები კოსტრომის თავად-აზნაურთათვის იმ პირობით, რომ ამ ფულების სარგებლიდან ოთხელ ღარიბ აზნაურს მიეცეს რვა—რვა მანეთი თვეში.

საქართველოს მეფე წმიდა ლუარსაბი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და კეთილმსახურებაზე.

საქართველოს მეფე წმიდა ლუარსაბი.

მე XVI საუკუნის დასაწყისში, ხოლო მე-XVII საუკუნის დაბოლოს საქართველოში მეფობდა გიორგი X. იგი სპარსეთის შაჰ-აბას I ერთად ებრძოდა თათრებს. მხოლოდ მეფე გიორგის და საქართველოს ჯარის წყალობით სპარსელებმა სძლიეს თათრებს და დაიკავეს ქალაქი ერევანი. შაჰის დიდი ხნიდამ სძულდა ქართველები, რადგან იგინი არ ღებულობდნენ მაჰმადიანობას; ამ ძველ მტერობას თანდაერთო შურიც, რომელიც აღძრა აბასში საქართველოს მეფის გიორგი X და მისი ჯარის სიმამაცემ და მადლობის მაგიერ შაჰმ ბრძანა საიდუმლოდ შეეპყრათ გიორგი და გაეგზავნათ სპარსეთში. ეს მოხდა 1603 წ. გიორგის შემდეგ მემკვიდრედ დარჩა ძე მისი ლუარსაბ II. თუმცა ლუარსაბი ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზდა იყო, მაგრამ პატრიარქმა ზაქარიამ სალხის თხოვნით აკურთხა იგი მეფედ.

მალე დიდ განსაცდელში ჩავარდა როგორც საქართველო, ისე მისი ახალგაზდა მეფე ლუარსაბ II. სათათრეთის სულთანმა, რომელსაც გულისჯავრის ამოყრა სურდა ქართველებზე იმ დამარცხებისათვის, რომელიც ლუარსაბის მამა გიორგიმ მიაყენა თათრებს, შეჰკრიბა დიდძალი ჯარი და გამოგზავნა საქართველოში; ჯარს ნაბრძანები ჰქონდა სრულიად აეკლო ეს მხარე. თათრებმა ააოხრეს საქართველოს საუკეთესო ადგილები და დაიმედებულნი იყვნენ, რომ თექვსმეტი წლის მეფე ლუარსაბი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მათ. ახალგაზდა მეფემ თათრების შესახვედრად გაგზავნა ორი თავისი სარდალი ჯარით, ხოლო თვითონ გაემურა ციხე ცხიერთში ჯარის შესაკრებად, რომ სამშობლო დაეფარა მტრისაგან.

მოწინავე ჯარი, რომელიც ლუარსაბმა გაგზავნა თათრების შესახვედრად, ისე გასწყვიტეს მტრებმა, რომ ერთი კაციც არ გადარჩენილა. თათრებმა დაიჭირეს უმთავრესი გზები და დაბები. როცა თათრებმა დაიკავეს მანგლისი, შავმა ნისლმა სრულიად დაჰფარა მანგლისის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ამ სახით გადარჩა აოხრებას და აკლებას.

თათრებს სურდათ გაეგოთ, თუ სად იმყოფებოდა მეფე და ამიტომ მათ შეიპყრეს ერთი მღვდელი, სახელად თეოდორე, დაუწყეს ამ მღვდელს წვალება და სთხოვდნენ, რომ მას ეჩვენებინა მათთვის მეფე ლუარსაბის სამყოფი ადგილი. მამა თეოდორემ იცოდა, რომ მეფე იმყოფებოდა ცხიერთში და მტრები კი სხვა მხრით წაიყვანა და ისეთ ადგილს შეიყვანა იგინი, რომ მრავალი მათგანი დაიხოცა. თათრებმა შეუტყვეს მ. თეოდორეს ეშმაკობა და მაშინვე თავი გააგდებინეს. როცა დაბოლოს სათათრეთის ჯარი გავიდა ცხიეთის მინდორზე, აქ ლუარსაბი გულადად შეებრძოლა მტერს და სასტიკად დაამარცხა თათრის ჯარი. ჩხუბის დროს მტერი გაემურა ქალაქ გორისაკენ; ეს გაიგო სომხის ერთმა მღვდელმა, მან ცეცხლი წაუკიდა მტკვარზე გადებულ ხიდს, რომ ამით დაეფარა ქალაქი და შეეჩერებია მტრის ჯარი. ლუარსაბი მოეწია თათრებს და მეორეთ დაამარცხა იგინი. თათრის ჯარში სამოცი ათასი მეომარი ითვლებოდა და ლუარსაბს კი მარტო 14 ათას მეომრამდე ჰყავდა.

თათრის ჯარის დამარცხების შემდეგ ლუარსაბს დიდი დავლა დარჩა მტრისაგან. ამ დავლის ნაწილი მეფემ აიღო და გაუგზავნა სპარსეთის შაჰ-აბაზს. ამ პატივისცემის მაგიერად შაჰმ მეფე ლუარსაბს სთხოვა, რომ მისი და ელენე მიეთხოვებია შაჰისათვის ცოლად. საქართველოს ეკლესიის კანონით ქართველს არ შეეძლო ქალი მიეთხოვებინა მაჰმადიანისათვის. შაჰიმაც კარგად იცოდა ეს, მაგრამ უარის შეთვლას ელოდა, უნდოდა მიზეზი ეშოვნა და თავს დაცემოდა მისგან ამოთვალწუნებულს მხნე მეფეს. ლუარსაბი ხედავდა, რომ მას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია სპარსეთის ძლიერ შაჰისათვის; იგი მოელაპარაკა ამ საგნის შესახებ პატრიარქს და მთავრებს და გადასწყვიტა, რომ შაჰაბაზს აღუარულოს თხოვნა, და ამით დაიფაროს თავისი ერი. დიდი თხოვნის შემდეგ ლუარსაბის და ელენე დათანხმდა ცოლად გაჰყოლოდა შაჰ-აბაზს.

ლუარსაბს ჰყავდა ორი მეტად დაახლოებული და საყვარელი კაცი—აზნაური საკაძე და თავადი ბარათოვი. ამ ორ კაცს დიდი მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. საკაძემ განიზრახა მეთხოვებინა მეფე სათეის თავისი და, რომ ამით კიდევ უფრო დაახლოებოდა მეფეს და დაეღუბა თავისი მტრები. მეფე ვერ მიუხვდა საკაძეს მის ეშმაკობას; ლუარსაბმა კიდეც გადასწყვიტა საკაძის დის ცოლად შერთვა, მაგრამ მეფის დედა დედოფალი მარიამი და მთავრები ყოველივე ლონეს ხმარობდნენ, რომ მეფისათვის მოეშალათ ეს საქმე და აუხსნეს ლუარსაბს საკაძის ეშმაკური განზრახვა. მეფემ მიიღო ეს რჩევა, ძლიერ გაუჯავრდა თავის საყვარელს მეგობარს და ბრძანა, რომ საიდუმლოდ დაეპატიმრებიათ საკაძე. მაგრამ საკაძემ მალე გაიგო მეფის განზრახვა და მაშინვე გაიქცა საქართველოდან შაჰ-აბაზთან. შაჰმ სიხარულით მიიღო საკაძე და დანიშნა სამსახურში. მოლალატემ დარწმუნა შაჰი, რომ მას ადვილად შეუძლია მთელი საქართველოს დაპყრობა. შაჰმ შეჰკრიბა დიდძალი ჯარი და ზამთრის დამდეგს, როცა მცხოვრებთ თავის დამალვა ძნელად შეეძლოთ, საკაძის ჩვენებისამებრ, გამოემგზავრა საქართველოსაკენ. საქართველოს მეფემ თავის ძალა შეუერთა კახეთის მეფის თეიმურაზის ჯარს, და ორივე მეფე მხურვალეთ შეუდგნენ ომისათვის მზადებას, ხოლო შაჰის მისწერეს მეგობრული წერილი. როცა შაჰმ დაინახა, რომ საქართველოს ორივე მეფე დიდ ჯარს ჰკრებდნენ, მან მოინდომა ამ მოკავშირე მეფეების ურთიერთ შორის წაკიდება და ორთავე მეფეს ცალ-ცალკე მისწერა წერილი, რომელშიაც ი ითეულს ატყობინებდა, რომ მას ატყუებს მეორე. მაგრამ მეფეებმა გაიგეს ეს ეშმაკობა და არ გაუგონეს შაჰ-აბაზს. ამ დროს საკაძემ მოახერხა საქართველოს ზოგიერთი მთავრების გადაბირება შაჰის მხარეზე. ამ გამცემლობამ დიდს გაჭირვებაში ჩააგდო ორივე მეფე და ისინი იძულებულნი შეიქმნენ გაქცეულიყვნენ იმერეთში მეფე გიორგი მესამესთან. მაშინ სპარსელებმა აოხრეს კახეთი და შემდეგ შეესიენენ ქართლში. აქ შაჰმ გამოაცხადა, რომ თუ მეფე ლუარსაბი უკანვე დაბრუნდება, იგი დაუბრუნებს მას სამეფოს და სიმღიდრეს, წინაალმდეგ შემთხვევაში ქართლს საკაძეს მისცემს. ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა შაჰმ ლუარსაბს იმერეთში და იწვევდა, რომ იგი სამშობლოშიეე დაბრუნებულიყო. ელენეც აგრეთვე სთხოვდა თავის ძმას მეფე ლუარსაბს გამოცხადებოდა შაჰის და არწმუნებდა ძმას, რომ არაეითარი ვნება არ მოგეცემაო. დედა მარიამი, მეფე თეიმურაზი და გიორგი მესამე არწმუნებდნენ ლუარსაბს არ მიეღო შაჰ-აბაზის რჩევა და არ წასულიყო მასთან. მაგრამ ლუარსაბმა მიიღო შაჰის რჩევა, რადგან იცოდა, რომ წინაალმდეგ შემთხვევაში სპარსელები აოხრებდენ მის ქვეყანას და ამიტომ იგი წავიდა გორში, სადაც მაშინ იმყოფებოდა სპარსეთის ჯარი. შაჰი მიეგება ლუარსაბს, სიხარულით მიიღო იგი და ბრძანა შესაფერი პატივი ეცათ მეფისათვის. შაჰმ დიდათ დაასაჩუქრა ლუარსაბი, გაუმართა მასს დიდი ლხინი, უჩვენა მასს სხვა და სხვა სანახაობები და გაუმართა დიდი ნადიმობა.

ამ შექცევაში კარგმა დიდმა დრომ გაიარა. დადგა დიდი მარხვა. ლუარსაბი მტკიცედ ინახავდა ეკკლესიის წესებს და თევზის ჭამაზე უარი განაცხადა, რის გამო შაჰის მიზეზი მიეცა საყვედური გამოეცხადებია ლუარსაბისათვის. ამის შემდეგ შაჰმ გამოუცხადა ლუარსაბს თავისი სურვილი, რომ მას მაჰმადიანობა მიეღო. ლუარსაბმა უარი განაცხადა შაჰ-აბაზს და შეუჯგა ღვთის ვედრებას და მარხულობას; როცა შაჰი დაჯინებით სთხოვდა ლუარსს მაჰმადიანობის მიღებას, ლუარსაბი პასუხსაც აღარ აძლევდა ხოლმე მასს. მაშინ შაჰის ბრძანებით ლუარსაბი დააპატიმრეს ერთ მუყალ ციხეში შირაზის მახლობლად. შვიდ წელიწადს შებორკილი იმყოფებოდა ამ ციხეში ლუარსაბი და საპატიმროს დარაჯები ყოველივე ლონეს ხმარობდნენ და აწუხებდნენ ლუარსაბს, რომ მას მაჰმადიანობა მიეღო. ბოლოს შაჰმ, საკაძის ჩაგონებით, ბრძანა ლუარსაბის მოკვლა. 1622 წელში წმ. მეფე ჩამოახჩვეს. წამების ღამესვე ზეციურმა ნათელმა გააბრყწინა მეფის გვამი და ორი მისი მოსამსახურისა, რომელნიც მეფესთან ერთად აწამეს. მეორე დღეს წამებულთა გვამები საპატიმროშივე დაასაფლავეს, რომ მორწმუნეთ არ ეხილათ მოწამეთა გვამები.

რედაქციის პასუხი.

ღვ. ვლ. კ—ეს. ერთხელ ჩვენ მიპატიჟებული ვიყავით ერთის დიდი პირის დამარხვაზე. შესაჩნევი გამოტირილი იყო და მართლაც მთელი საზოგადოება გულით ტიროდა, რადგან მათ მოაკლდათ პატივსმცემელი და შესანიშნავი პერ-ღვინის კაცი. ეს კაცი სამსახურშიაც დიდათ დამსახურებული იყო. წესის აგების შემდეგ, მთხოვეს, რომ ან მე და ან სხვას საფლავზედ სიტყვა გვეთქვა. გამოგიცოცხლ და შევიტყვე, რომ ამ დიდებულ პირს არავითარი ღვაწლი არ მიუღლოდა სასულიერო საქმეებში და ამისთვის არც მე და არც სხვას სიტყვა არ გვითქვამს. სწორეთ ესევე მიზეზი იყო, რომ ჩვენ არც ერთი სიტყვა არ გვითქვამს იმ პირზე, რომელზედაც თქვენ იწერებით... რაც ითქვა, ისიც კმარა!...

რედაქტორი.

შეწირულებანი.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გეიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ მე და ჩემმა მრეკლმან ქვემორე აღნიშნულთა პირთა, რომელთაც თავიანთის სურვილით შემოსწირეს რწმუნებულთა ჩემდამი ეკეკლესიებთ აქ აღნიშნული ნივთები. სოფლის ტიხის მაცხოვრის შტატის ეკეკლესიას ბოდბოლეკონიკმა ნესტორ გიორგის ძემ უგრესელიძემ შემოსწირა საშვილ ეკეკლესიაში დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 20 მანეთად (ეს პატიჟეტემული პირი აქამდისაც სწირავდა ყოველს წლობით სან ხეთს და სან ათს მანეთს); ბლეხმა ანდრია სიმონის ძემ ბეკეტაძემ შემოსწირა ჯვარცმის წინ დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 6 მანეთად. ზედ მიწერილის სოფლის ბობოთის წმ. ნიკოლოზის ეკეკლესიას შემოსწირა მღვდელმან მაქსიმე ლოსაბერიძემ თავისის მეუღლის ირინეს მოსახსენებლად ერთი ტრაპეზედ გაბდასაფარებელი ფარჩა, ღირებული ათ მანეთად, ერთი განსაზაკებელი გერცლისა, ღირებული ათ მან. და ერთი ოდიკი, ღირებული 11 აბაზათ.

ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა კეთილის საქმის მიმბაძველნი აღმოჩენოდეს ამ ღარიბ ეკეკლესიებს.

მღვდელი ბესარიონ მზეიძე.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატიგეტემული «მწყემსის» საშვალებით ნება მიბოძოთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე, ეგრეთვე ჩემმა მრეკლმა ქვემოდ აღნიშნულთ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ეკეკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა ნივთები. ეი შემომწირველთა სიაც: ბლეხმა ნიკოლოზ ივანეს ძე მჭედლიძემ კლიროსზედ დასადგმელი შკაფი, ღირებული 15 მანეთად; მეორე გიდლის ვაჭარმა ირაკლი მიხაილის ძე ბაკალიძემ მოაჭედინა სახარება, რაიცა დაუჯდა 10 მან.; მართა მჭედლიძისამ სულიკოვის ასულმა სტეტსლეური, ღირებული 3 მ. და რომანოზ ლამბაშიძის მეგრიკემ ერთი ხელი შესამოსელი, ღირებული 20 მანეთად.

მღვ. დავით კვიუინაძე.

ი ს ე ი დ ე ბ ა

საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნი რუსულს და ქართულს ენაზედ ერთად, გამოცემული დეკ. დავით ლამბაშიძისაგან.

ფასი უყდოთ 50 კ., ყდით 60 კ.

მარტო ქართულ ენაზედ

ფასი უყდოთ 30 კ., ყდით 40 კ.

ეს წიგნი მოწონებულია უწმ. სინოდისაგან და მიღებულია სახელმძღვანელოდ სამრევლო და სახალხო სკოლებში.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозв. цензурою. Тифлисъ, 18 Сентября 1894 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ на Нѣмецкой ул.